სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

აღმასრულებელი საბჭოს 2020 წლის 21 იანვრის

სხდომის ოქმი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

მისამართი: თბილისი ძმები ზუბალაშვილების ქუჩა N11

სხდომის დაწყების დრო: 19:00

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), მამუკა ნოზაძე, გიორგი თევზაძე, ტარიელ კაკაბაძე, ზურაბ როსტიაშვილი, მარიამ კუბლაშვილი, ნათია კორკოტაძე

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება

წევრები გაეცნენ:

(ა) **იამზე ბერიძის, ნინო გიორგაძის, თამარი ლომთაძის, ნინო გაფრინდაშვილის, თამთა ზენაიშვილის, რამაზ ცინცაძის, თამარ ნამგალაურის, ლევან არძენაძის, სალომე ინწკირველის; ნანა კვინიკაძის, ნინო ვაჭარაძის, ავთანდილ გელხვიიძის; მარიამ ჟიჟბაიას** განცხადებებს გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნულმა პირებმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყეს 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2018 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონში 2019 წლის 1-ლი იანვრიდან შესული ცვლილებისა და პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების თანახმად,

სავალდებულო ადაპტაციის პროგრამის გავლის მოთხოვნა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და თანდართულ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს იამზე ბერიძის იამზე ბერიძის, ნინო გიორგაძის, თამარი ლომთაძის, ნინო გაფრინდაშვილის, თამთა ზენაიშვილის, რამაზ ცინცაძის, თამარ ნამგალაურის, ლევან არძენაძის, სალომე ინწკირველის; ნანა კვინიკაძის, ნინო ვაჭარაძის, ავთანდილ გელხვიიძის; მარიამ ჟიჟბაია განცხადებები გაწევრიანების თაობაზე.

(ბ) ბაქარ ბეჟუაშვილის განცხადებას გაწევრიანების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტისა და ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-4 მუხლის, 4.2. პუნქტის თანახმად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის, საერთო სასამართლოების მოსამართლის ან/და პროკურორად მუშაობის 3 წლიანი სტაჟის მქონე პირები გადიან ადაპტაციის პროგრამის მხოლოდ თეორიულ კურსს. განმცხადებელმა ბაქარ ბეჟუაშვილმა წარმოადგინა პროკურორად მუშაობის შესაბამისი სტაჟისა და 2019 წლის საშემოდგომო ნაკადის ფარგლებში, ადაპტაციის პროგრამის 3 თვიანი თეორიული ნაწილის გავლის დამადასტურებელი ცნობები.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ბაქარ ბეჟუაშვილის განცხადება გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 2. ხელახალი გაწევრიანება

წევრები გაეცნენ:

(ა) ნინო ნინოშვილის, სალომე აბრამიშვილის, გივი პაპუაშვილის, რეზო შავაძის, იოსებ სოსიაშვილის და რუსლან ახალაიას მიერ ხელახალი გაწევრიანებისთვის წარმოდგენილ განცხადებებს.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ზემოხსენებული პირების მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული საჭირო დოკუმენტებით შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ნინო ნინოშვილის, სალომე აბრამიშვილის, გივი პაპუაშვილის, რეზო შავაძის, იოსებ სოსიაშვილის და რუსლან ახალაიას მიერ ხელახლა გაწევრიანებისთვის წარმოდგენილი განცხადებები.

(ბ) ლაშა კვაჭაძის 2019 წლის 30 დეკემბრის განცხადებას, რომელშიც ის აღნიშნავდა, რომ 2019 წლის 2 ივლისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, 2018-2019 წლების საწევრო გადასახადის გადაუხდელობის გამო მას შეუწყდა ასოციაციის წევრობა. ამჟამად, მის მიერ გადახდილი იყო 2018 წლის საწევრო დავალიანება, ითხოვდა 4 (ოთხი) თვის ვადას 2019 წლის საწევრო დავალიანების გადასახდელად და წევრობის აღდგენას.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ლაშა კვაჭაძის განცხადებას თან ერთვოდა 2018 წლის საწევრო დავალიანების გადახდის დამადასტურებელი ქვითარი და საჭირო დოკუმენტები, რომლებიც შესაბამისობაში იყო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ლაშა კვაჭაძის მიერ ხელახლა გაწევრიანებისთვის წარმოდგენილი განცხადება და 2019 წლის 24 დეკემბერს აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, ლაშა კვაჭაძის მიმართ არსებული 2019 წლის საწევრო დავალიანების გადახდის ვადად განისაზღვროს: 2020 წლის 1 მარტი.

(გ) ზაურ ზარანდიას 2020 წლის 20 იანვრის განცხადებას, რომელშიც ის აღნიშნავდა, რომ 2019 წლის 2 ივლისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, 2018-2019 წლების საწევრო გადასახადის გადაუხდელობის გამო მას შეუწყდა ასოციაციის წევრობა. ამჟამად, მის მიერ გადახდილი იყო 2018 წლის საწევრო დავალიანება, ითხოვდა გარკვეულ ვადას 2019 წლის საწევრო დავალიანების გადასახდელად და წევრობის აღდგენას.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ზაურ ზარანდიას განცხადებას თან ერთვოდა 2018 წლის საწევრო დავალიანების გადახდის დამადასტურებელი ქვითარი და საჭირო დოკუმენტები, რომლებიც შესაბამისობაში იყო „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ზაურ ზარანდიას მიერ ხელახლა გაწევრიანებისთვის წარმოდგენილი განცხადება და 2019 წლის 24 დეკემბერს აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, ზაურ ზარანდიას მიმართ არსებული 2019 წლის საწევრო დავალიანების გადახდის ვადად განისაზღვროს: 2020 წლის 1 მარტი.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების განხილვა

წევრები გაეცნენ ადვოკატთა შესახებ კანონის 21^2 მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებებს: **ნინო გიორგაძე, სალომე ინწკირველი, ლევან არძენაძე, ანა გაბუნია, ანა სრესელი, თამთა ანთია, თამარ ქოქრაშვილი, დავით გრიგოლაშვილი, თამარ გადრანი, ივანე იორამაშვილი, თამარ მაჭარაშვილი, თამარი გეგია, ნათია ლუტიძე, ლაშა ელიზბარაშვილი, თამარ კაპანაძე, ეკა ბაძაღუა, თამთა დოლიძე, ომარ ოქროპირიძე, ნინო გვარამაძე, ჯაბა ჯამაგიძე;** <u>2020 წლის საწევრო დავალიანების მქონე წევრები</u>: **იური კენჭოშვილი და რატი გელბახიანი.**

წევრებმა განაცხადეს, რომ ჩამოთვლილ პირთაგან, რომელთაც ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, 2020 წლის საწევრო აქვთ გადასახდელი, ეცნობოთ, რომ “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21^2 მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატისთვის წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა წევრობის შეჩერება მანამდე არსებული დავალიანების გაუქმების საფუძველი არ არის და ამავე კანონის 21^3 მუხლის პირველი პუნქტის, “ზ” ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუწყდება ასოციაციის წევრობა. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს 2012 წლის 30 მაისის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად: “საწევრო დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი განცხადებით, წევრობის შეჩერების შესახებ, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, 21^2 მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21^3 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით), „ა“ ქვეპუნქტის (პირადი განცხადების საფუძველზე) თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ; თუმცა წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის (ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდება ყოველწლიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე) თანახმად წარმოეშვა. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილება შეჩერებულ ადვოკატს, “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21^3 მუხლის, პირველი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუწყდება), „ზ“ ქვეპუნქტის (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს) თანახმად, შეუწყდება ასოციაციის წევრობა“.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21^2 მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ზემოთჩამოთვლილ შემდეგ პირთა განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ: ნინო გიორგაძე, სალომე ინწკირველი, ლევან არძენაძე, ანა გაბუნია, ანა სრესელი, თამთა ანთია, თამარ ქოქრაშვილი, დავით გრიგოლაშვილი, თამარ გადრანი, ივანე

იორამაშვილი, თამარ მაჭარაშვილი, თამარი გეგია, ნათია ლუტიძე, ლაშა ელიზბარაშვილი, თამარ კაპანაძე, ეკა ბაძაღუა, თამთა დოლიძე, ომარ ოქროპირიძე, ნინო გვარამაძე, ჯაბა ჯამაგიძე, იური კენჭოშვილი, რატი გელბახიანი. ამასთან, 2020 წლის საწევრო დავალიანების მქონე პირებს - იური კენჭოშვილს და რატი გელბახიანს ეცნობოთ ინფორმაცია მათ მიმართ არსებული საწევრო დავალიანების და 2012 წლის 30 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე ეცნობოთ იმის შესახებ, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში მათ შეუწყდებათ ასოციაციის წევრობა.

საკითხი 4. ნიკოლოზ ჯალაღანიას განცხადების განხილვა ადვოკატთა ასოციაციის კომერციული და კონკურენციის სამართლის კომიტეტში გაწევრიანებასთან დაკავშირებით

წევრები გაეცნენ ნიკოლოზ ჯალაღანიას 2020 წლის 15 იანვრის განცხადებას თანდართული ბიოგრაფიით ასოციაციის კომერციული და კონკურენციის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ნიკოლოზ ჯალაღანიას 2020 წლის 15 იანვრის განცხადება ადვოკატთა ასოციაციის კომერციული და კონკურენციის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე და კომიტეტის დებულების მე-4 მუხლის, 4.4 პუნქტის თანახმად, დამტკიცებულ იქნას ნიკოლოზ ჯალაღანიას კანდიდატურა ასოციაციის კომერციული და კონკურენციის სამართლის კომიტეტის წევრად.

საკითხი 5. ეკატერინე გაგუას განცხადების განხილვა ადვოკატთა ასოციაციის კომერციული და კონკურენციის სამართლის კომიტეტში გაწევრიანებასთან დაკავშირებით

წევრები გაეცნენ ეკატერინე გაგუას 2020 წლის 15 იანვრის განცხადებას თანდართული ბიოგრაფიით ასოციაციის კომერციული და კონკურენციის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ეკატერინე გაგუას 2020 წლის 15 იანვრის განცხადება ადვოკატთა ასოციაციის კომერციული და კონკურენციის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე და კომიტეტის დებულების მე-4 მუხლის, 4.4 პუნქტის თანახმად, დამტკიცებულ იქნას ეკატერინე გაგუას კანდიდატურა ასოციაციის კომერციული და კონკურენციის სამართლის კომიტეტის წევრად.

საკითხი 6. ელა კუსიანის განცხადების განხილვა ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტში გაწევრიანებასთან დაკავშირებით

წევრები გაეცნენ ელა კუსიანის 2020 წლის 20 იანვრის განცხადებას თანდართული ბიოგრაფიით ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ელა კუსიანის 2020 წლის 20 იანვრის განცხადება ადვოკატთა ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე და კომიტეტის დებულების მე-4 მუხლის, 4.4 პუნქტის თანახმად, დამტკიცებულ იქნას ელა კუსიანის კანდიდატურა ასოციაციის სისხლის სამართლის კომიტეტში წევრად.

საკითხი 7. ანა გურიელის განცხადების განხილვა ასოციაციის მედიაციის და არბიტრაჟის განვითარების კომიტეტში გაწევრიანებასთან დაკავშირებით

წევრები გაეცნენ ანა გურიელის 2020 წლის 20 იანვრის განცხადებას თანდართული ბიოგრაფიით ასოციაციის მედიაციის და არბიტრაჟის განვითარების კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ანა გურიელის 2020 წლის 20 იანვრის განცხადება ადვოკატთა ასოციაციის მედიაციის და არბიტრაჟის განვითარების კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე და კომიტეტის დებულების მე-4 მუხლის, 4.4 პუნქტის თანახმად დამტკიცებულ იქნას ანა გურიელის კანდიდატურა ასოციაციის მედიაციის და არბიტრაჟის განვითარების კომიტეტის წევრად.

საკითხი 8. იურიდიული დახმარების საბჭოში საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ 1 წევრი კანდიდატის წარდგინების თაობაზე ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ საკითხის განხილვა

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია, რომ 2019 წლის 18 იანვარს აღმასრულებელი საბჭოს მიერ ფარული წილისყრის საფუძველზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება, 2018 წლის 22 იანვარს აღმასრულებელი საბჭოს მიერ „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 26^1-ე მუხლის, მე-7 პუნქტის, „ტ^1" ქვეპუნქტის და „იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად, იურიდიული დახმარების საბჭოში წარდგენილი წევრების უფლებამოსილების დარჩენილი ვადების განსაზღვრის შესახებ, რომლის მიხედვით, ერთ-ერთ წევრის უფლებამოსილების 1 წლიანი ვადა ამოიწურა 2020 წლის 18 იანვარს.

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 26^1 მუხლისა და „იურიდიული დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 და 23^2 მუხლების შესაბამისად, ასოციაციამ უნდა გამოაცხადოს ღია კონკურსი იურიდიული დახმარების საბჭოს შემადგენლობაში ადვოკატთა ასოციაციიდან წარსადგენი 1 (ერთი) წევრის შესარჩევად და კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის განსაზღვროს სავალდებულო კრიტერიუმები და წარსადგენი დოკუმენტაცია.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება:

- **„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 26[1] მუხლისა და „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 და 23[2] მუხლების შესაბამისად, გამოცხადდეს ღია კონკურსი იურიდიული დახმარების საბჭოს შემადგენლობაში ადვოკატთა ასოციაციიდან წარსადგენი 1 (ერთი) წევრის შესარჩევად.**
- **კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის სავალდებულო კრიტერიუმად განისაზღვროს არანაკლებ 5 წლიანი საადვოკატო გამოცდილება;**
- **კონკურსში მონაწილეობის მსურველთა მიერ წარსადგენ სავალდებულო დოკუმენტაციად განისაზღვროს: პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, CV (ქართულ ენაზე), ადვოკატის უფლებამოსილების დამადასტურებელი მოწმობის ასლი და სამოტივაციო წერილი.**
- **განცხადებების შემოტანის ბოლო ვადად განისაზღვროს - 2020 წლის 28 იანვარი, 18:00 საათი.**
- **დაევალოს ასოციაციის აპარატს, ასოციაციის ვებ-გვერდზე კონკურსის შესახებ ინფორმაციის განთავსება, სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.**

საკითხი 9. ანა ბაიაძის განცხადების განხილვა ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის თეორიული ნაწილის საფასურის გადახდისგან გათავისუფლების თაობაზე

წევრები გაეცნენ ანა ბაიაძის 2020 წლის 10 იანვრის განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ 2019 წლის 8 დეკემბერს მან ჩააბარა ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდა და დააგროვა 96 ქულა; რადგან, მოქმედი წესის თანახმად, ბარიერის გადალახვის შემთხვევაში მას არ ეძლეოდა საგამოცდო ტესტის გასაჩივრების უფლება, ითხოვდა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-14 მუხლის, 14.3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის გავრცელებას და შესაბამისად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის თეორიული ნაწილის საფასურის გადახდისგან გათავისუფლებას.

წევრებმა განაცხადეს, რომ ელექტრონულ ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე ქცევისა და გასაჩივრების წესების 22-ე მუხლის, 22.1 პუქნტით დადგენილია, რომ გასაჩივრების უფლება აქვს მხოლოდ იმ აპლიკანტს, რომელიც ვერ დააგროვებს გამსვლელ ქულათა საკმარის რაოდენობას; ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-14 მუხლის, 14.3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, ადაპტაციის პროგრამის თეორიული ნაწილის საფასურისგან თავისუფლდება პირი, რომელმაც ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდაზე მიიღო 97 – 100 ქულა.

აღნიშნული დებულება არ შეიცავს სამართლებრივ შესაძლებლობას, რომლის მიხედვითაც მოხდებოდა ანა ბაიაძის მოთხოვნის დაკმაყოფილება. შესაბამისად, აღმასრულებელი საბჭო

მოკლებულია შესაძლებლობას, სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის გამო დააკმაყოფილოს ანა ბაიაძის 2020 წლის 10 იანვრის განცხადება.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს ანა ბაიაძის 2020 წლის 10 იანვრის განცხადება პროფესიული ადაპტაციის პროგრამის თეორიული ნაწილის საფასურის გადახდისგან გათავისუფლების თაობაზე.

საკითხი 10. ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდისთვის რეგისტრაციის თარიღის განსაზღვრა

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდისთვის რეგისტრაციის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 3 თებერვალი - 2 მარტის ჩათვლით.

საკითხი 11. ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდისთვის მოსამზადებელ კურსზე რეგისტრაციის თარიღის განსაზღვრა

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: ადვოკატთა საგაზაფხულო საკვალიფიკაციო გამოცდისთვის მოსამზადებელ კურსზე რეგისტრაციის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 23 იანვარი - 21 თებერვლის ჩათვლით.

საკითხი 12. ადვოკატთა პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა სიის დამტკიცება

წევრები გაეცნენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა სიას (დანართი 1).

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლები აკმაყოფილებენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის მე-10 მუხლის, 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა სია სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი 1).

საკითხი 13. მარიამ შავლაყაძის განცხადების განხილვა

წევრები გაეცნენ მარიამ შავლაყაძის 2019 წლის 24 დეკემბრის განცხადებას ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის პრაქტიკული კურსის დადგენილ ვადაზე

ადრე დასრულების შესახებ, ორი წლით ამერიკის შეერთებულ შტატებში სამაგისტრო პროგრამაზე სასწავლებლად გამგზავრების გამო.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ მარიამ შავლაყაძე იყო პროფესიული ადაპტაციის პროგრამის 2019 წლის საშემოდგომო ნაკადის მონაწილე და აღნიშნული პროგრამის პრაქტიკული კურსი სრულდებოდა 2020 წლის ივლისში.

მათ განაცხადეს, რომ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე - 4 მუხლის, 4.1 პუნქტით დადგენილია, რომ პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 12 თვეს. აღნიშნული დებულება არ მოიცავს სამართლებრივ ნორმას, რომლის მიხედვით შესაძლებელი იქნებოდა მსჯელობა პროგრამის მონაწილისთვის სტაჟირების პერიოდის ვადის შემცირების თაობაზე.

ამდენად, აღმასრულებელი საბჭო მოკლებულია შესაძლებლობას, დააკმაყოფილოს მარიამ შავლაყაძის განცხადება პროფესიული ადაპტაციის პროგრამის პრაქტიკული კურსის დადგენილ ვადაზე ადრე დასრულების შესახებ. ამავდროულად, წევრებმა აღნიშნეს, რომ განმცხადებელს შეუძლია მიმართოს მის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატს და მასთან შეათანხმოს 9 თვიანი პრაქტიკული კურსის გავლის დეტალები.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს მარიამ შავლაყაძის 2019 წლის 24 დეკემბრის განცხადება ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის პრაქტიკული კურსის დადგენილ ვადაზე ადრე დასრულების შესახებ.

საკითხი 14. განგრძობადი იურიდიული განათლების პროგრამის ფარგლებში, 2019 წლის სავალდებულო კრედიტ-საათების დავალიანების მქონე ასოციაციის წევრთა საკითხის განხილვა

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია, რომ 2019 წლის განგრძობადი იურიდიული განათლების პროგრამის ფარგლებში 3008 ადვოკატს სრულად აქვს დაგროვილი სავალდებულო კრედიტები, ხოლო 660 ადვოკატს არ აქვს არცერთი კრედიტი. პროფესიული ეთიკის ტრენინგები გავლილი აქვს 2064 ადვოკატს, ხოლო გასავლელი აქვს 2628 წევრს. აღნიშნული სურათი ნაწილობრივ გამოწვეულია იმ მიზეზით, რომ პროფესიული ეთიკის ტრენინგების გავლა ხორციელდება დისტანციურ რეჟიმში; ელექტრონულ პროგრამას აქვს გარკვეული ტექნიკური ხარვეზები, რაც წარმოადგენს ადვოკატებისთვის ხელისშემშლელ გარემოებას ტრენინგების წარმატებით გავლის პროცესში.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: განგრძობადი იურიდიული განათლების პროგრამის ფარგლებში, 2019 წლის სავალდებულო კრედიტ-საათების დავალიანების მქონე ასოციაციის წევრთა საკითხის განხილვა გადაიდოს 2020 წლის გაზაფხულისთვის.

საკითი 15. ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-4 მუხლის, 4.5 პუნქტში ცვლილების შეტანის საკითხი

წევრები გაეცნენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-4 მუხლის, 4.5 პუნქტში შესატან ცვლილებას, რომელიც წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმულირებით: „თეორიული კურსის განხორციელების ადგილებია - ქალაქი თბილისი, ქალაქი ქუთაისი, ქალაქი ბათუმი და ქალაქი ზუგდიდი, ასოციაციის ოფისი ან/და კურსისთვის გამოყოფილი ალტერნატიული ფართი“.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-4 მუხლის, 4.5 პუნქტში შესატანი ცვლილებები სხდომაზე წარმოდგენილი სახით.

საკითხი 16. სხვადასხვა

წევრები გაეცნენ:

(ა) კობა ბარამიას 2020 წლის 9 იანვრის განცხადებას, რომელშიც იგი ითხოვდა 50% -იანი საშეღავათო საწევროთი სარგებლობას შემოსავლების სამსახურიდან წარმოდგენილი დოკუმენტის საფუძველზე და რომლითაც დასტურდებოდა, რომ მას ქალაქ სენაკში რეგისტრირებული ჰქონდა შპს „დემეტრა“.

წევრებმა განაცხადეს, რომ აღმასრულებელმა საბჭომ 2019 წლის 31 იანვარს მიიღო გადაწყვეტილება საშეღავათო საწევროზე კრიტერიუმების განსაზღვრის შესახებ. აღნიშნული გადაწყვეტილების თანახმად, ერთ-ერთი კრიტერიუმი ეხებოდა წევრებს, რომლებიც საადვოკატო საქმიანობას ახორციელებდნენ რეგიონებში და აღნიშნულის დამადასტურებლად წარმოადგენდნენ პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლს და რეგიონის საგადასახადო სამსახურიდან გაცემულ ცნობას გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირებად რეგისტრაციის შესახებ.

კობა ბარამიას არ აქვს წარმოდგენილი რეგიონის საგადასახადო სამსახურიდან გაცემული ცნობა გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირად რეგისტრაციის შესახებ. მის მიერ წარმოდგენილი ცნობა ქ. სენაკში შპს „დემეტრას“ რეგისტრირების თაობაზე, არ შეესაბამება აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2019 წლის 31 იანვარს საშეღავათო საწევროთი სარგებლობისთვის დადგენილ კრიტერიუმებს. ამდენად, კობა ბარამიას განცხადება არ ექვემედებარება დაკმაყოფილებას.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს კობა ბარამიას 2020 წლის 9 იანვრის განცხადება, წარმოდგენილი დოკუმენტის საფუძველზე 50%-იანი საშეღავათო საწევროთი სარგებლობის შესახებ.

(ბ) ანა ჩაფიძის 2020 წლის 17 იანვრის განცხადებას, რომელშიც იგი ითხოვდა განმარტებას, ექნებოდა თუ არა მოქალაქე დავით ჩიხლაძეს ადვოკატთა ასოცაციაციაში გაწევრიანების უფლება მას შემდეგ, რაც იგი მიიღებდა გერმანიის მოქალაქეობას და მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, მას გაუუქმდებოდა საქართველოს მოქალაქეობა.

წევრებმა განაცხადეს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, პირველი პუნქტით დადგენილია მოთხოვნები ადვოკატისადმი, რომლის თანახმად, ადვოკატის სტატუსის მისაღებად პირი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, რაც გამორიცხავს საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის ასოციაციაში გაწევრიანების შესაძლებლობას.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: განმცხადებელს - ანა ჩაფიძეს განემარტოს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, პირველი პუნქტის თანახმად ადვოკატისადმი დადგენილი მოთხოვნები.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6)

დავით ასათიანი

თავმჯდომარე